



გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის მისია

დამტკიცებულია

აკადემიური საბჭოს ოქმი N10 09.12.2016 წ.

გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტს ჩამოყალიბებული აქვს მისია, რომელიც გამოხატავს მის თვითმყოფადობას, აღიარებულ ფასეულობებსა და მიზნებს. უნივერსიტეტი დგამს ქმედით ნაბიჯებს, რათა სტუდენტებმა და თანამშრომლებმა კარგად გაიაზრონ უნივერსიტეტის მისია, სტრატეგია, სახელმძღვანელო პრინციპები და ფასეულობები. გააცნობიერონ საკუთარი უფლებები, მოვალეობები და პასუხისმგებლობები, რაც განაპირობებს „დისციპლინირებულ ინტელექტუალურ საქმიანობას“ (ვილჰელმ ფონ ჰუმბოლტი) და წარმოადგენს მყარ საფუძველს აკადემიური თავისუფლების ეფექტიანი გამოყენების, სწავლისა და სწავლების ადეკვატური პირობების შესაქმნელად.

გთუნი აცნობიერებს ვალდებულებებს დემოკრატიის წინაშე, გმობს რასიზმს, ქსენოფობიას და რელიგიურ შეუწყნარებლობას, ამ სულისკვეთებას უზიარებს და გადასცემს სტუდენტებს;

გთუნი-ს სწამს, რომ მისი არსებობის ცხრა წლის მანძილზე, მიშენელოვან საგანმანათლებლო და სამეცნიერო მისიას ასრულებს და წვლილი შეაქვს საზოგადოების განვითარებაში;

გთუნი აცნობიერებს, რომ დგას სერიოზული გამოწვევების წინაშე, მომზადებული ხვდება მათ, გეგმავს შემდეგი შვიდი წლის განვითარების სტრატეგიას და მომავალზეა ორიენტირებული.

გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტის მისია ეფუძნება საქართველოსა და ევროპული უმაღლესი განათლების მიზნებს და ასახავს უნივერსიტეტის ძირითად დანიშნულებას და როლს საგანმანათლებლო სივრცეში.



გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი თავის მისიად მიიჩნევს:

ავტორიტეტულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებად დამკვიდრებას ქვეყანაში და მის ფარგლებს გარეთ;

სტუდენტის მომზადებას კონკურენტული შრომის ბაზრის გამოწვევებისა და 21-ე საუკუნის გლობალური საზოგადოების ღირსეული წევრობისათვის თანამედროვე მეცნიერულ, პედაგოგიურ, ტექნოლოგიურ მიღწევებზე დაფუძნებული ხარისხიანი ცოდნის გადაცემით სამართლის, ბიზნესის ადმინისტრირებისა და სოციალური მეცნიერებების მიმართულებით;

საუნივერსიტეტო-საგანმანათლებლო გარემოს იმგვარ განვითარებას, სადაც პროფესიონალთა გუნდი ორიენტირებულია ინდივიდუალურ ყურადღებაზე თითოეული სტუდენტისადმი, მისი პროფესიული, პიროვნული და მოქალაქეობრივი პოტენციალის თვითრეალიზაციისადმი;

საერთაშორისო საგანმანათლებლო და სამეცნიერო სივრცეში ანგარიშგასაწევი ადგილის მოპოვებისათვის ზრუნვას აკადემიური და სამეცნიერო თანამშრომლობის ხარისხის ამაღლებით და თანამშრომლობის ფორმების დივერსიფიკაციით.

გთუნი-ს მისია არის ფუნდამენტი, რასაც ეფუძნება ინსტიტუციური იდენტობა და უწყვეტობის უზრუნველყოფა. ამასთან, როგორც თვითკრიტიკული დაწესებულება, გთუნი პერიოდულად გააანალიზებს და საჭიროების შემთხვევაში დააზუსტებს მას.

გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი აღიარებს ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში საქართველოს ინტეგრაციის მნიშვნელობას და თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ შემუშავებული საგანმანათლებლო პოლიტიკის შესაბამისად, ავტონომიურობის უფლების დაცვით. გთუნი ითვალისწინებს ბოლონის დიდი ქარტიითა (Magna Charta) და ლისაბონის კონვენციით გამოხატულ პრინციპებს, ამასთან, უპირველეს მნიშვნელობას ანიჭებს ეროვნული ინტერესების შესატყვისი საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

როგორც პროგრესული უმაღლესი სასწავლო დაწესებულება, რომლის ინტელექტუალური საქმიანობა სოციალურად და მორალურად პასუხისმგებლიანია, გთუნი აშენებს ურთიერთობებს სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, ხელისუფლების სტრუქტურებთან, კერძო სექტორთან, რათა მოემსახუროს საზოგადოებას და გავლენა იქონიოს მასზე. ამდენად, გთუნის მისიის განაცხადით აღწერილია თუ რას საქმიანობს, ვისთვის და ვისთან ერთად ეწევა ამ საქმიანობას და ფართო მიდგომით, როგორ ახორციელებს ამ საქმიანობას.

გთუნი მოწოდებულია მუდმივად გააანალიზოს მისია და საჭიროების შემთხვევაში განახლოს ის, რათა უზრუნველყოს სასწავლო დაწესებულების შესაბამისობა სახელმწიფოს, საზოგადოების, შრომის ბაზრის ცვლად მოთხოვნებთან და თანამედროვე გამოწვევებთან.